საქართ. შემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 218

ხუთშაბათი, მაისის 18

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო შემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

## საჯარო ვაჭრობა

ქ. ტფილისის აღმასკომის სადგომ-მამულთ განყოფილება ნიშნავს საბოლოო საჯარო ვაჭრობას ამა წლის 18 მაისს დილის 10 საათზე, საკუთარ მამულში (ყოფილ მანთაშევის—ორთაჭალაში ვარანცოვის ქ. № 125), ხეხილის მოსავლის (ბალი, ალუბალი, გარგარი, ატამი, ჭერამი და ქლიავი) გასასყიდათ დაახლოვებით 1000 ძირამდე.

პირობების გაგება დაწვრილებით შეიძლება სადგომ-მამულთ განყოფილებაში ოთახი № 52 აგრეთვე თვით მანთაშევის მამულში ორთაჭალაში მამულების გამგესთან.

სადგომ-მამულთ განყოფილება.

## კონფერენციის შედეგებისათვის

გუშინდელი რადიო-ცნობები გვამცნობენ კონფერენციის გარშემო შექმნილ პირობებსა და იმ განწყობილებას, რომელიც გამოიწვია რუსეთის საპასუხო ნოტამ. აგერ ხუთი კვირა არის, რაც გენუას კონფერენცია გაიხსნა და 34 სახელმწიფოს წარმომადგენელნი სხვა და სხვა საერთაშორისო კითხვების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებენ. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში კონფერენციამ ვერ შესძლო და ვერ გამონახა ის საერთო ხაზი, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა მოწინააღმდეგე მხარეთა შორის შეთანხმებული პროგრამის აგება. გენუაში ფაქტიურად ორ მხარეთა შორის არის მოლაპარაკება და მას უნდა გადაეწყვიტა კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობის საკითხი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან. აქ ერთის მხარეზე სდგას ანტანტა, რომელმაც ომის პროცესში გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ დამოუკიდებელის გზით ვერ შესძლო ევროპის დანგრეული ცხოვრების აღდგენ; და მეორე მხარეზე—საბჭოთა რუსეთი.

გენუას კონფერენცია გამოხატავს ამ ორი საერთაშორისო ძალის მოლაპარაკებისა და დიპლომატიურ ბრძოლას.

გამარჯვებულმა ანტანტამ შეეცადა შეიარაღებულის ძალისა და რუსული კონტრ-რევოლიუციის დახმარებით თავისი ბატონობა განემტკიცებინა რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ რუსეთის წითელი არმიის ძლიერმა ნებისყოფამ ყოველდღე საერთაშორისო შავი რეაქციის შავი ზრახვანი და ხელშეუხლებლად შეინარჩუნა საბჭოთა რუსეთის დამოუკიდებელი არსებობა და აი, რაც მოკავშირეებმა ვერ შესძლეს განეხორციელებინათ იარაღით, გენუაში შეეცადნენ დიპლომატიურის გზით მიეღო და საბჭოთა რუსეთი გადაექციათ თავიანთ საწველ ფურად. მაგრამ აქაც საბჭოთა დელეგაციამ შესაფერისი პასუხი გასცა მოკავშირეთა თავდასხმებს და გამოაშკარავა მათი ზრახვანი. საბჭოთა დელეგაციამ დიდ გამარჯვებას მიაღწია გენუაში იმ მხრივ, რომ მთელი კაცობრიობისთვის ნათელი და გარკვეული გახდა მოკავშირეთა აგრესიული მიზნები და საბჭოთა რუსეთის მშვიდობიანი მისწრაფებანი. გენუამ გამოაშკარავა ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობს მოკავშირეთა წრეებში და რომლის დაძლევა ვერ შესძლეს მათ, მიუხედავად იმისა, რომ კარზე ადგათ უდიდესი საფრთხე.

ამგვარად საბჭოთა რუსეთის მოწინააღმდეგე ბანაკი დარღვეული და შინაგანი შეუთანხმებლობით არის დაავადებული. აქ ერთი მეორეს უპირისპირდება განსაკუთრებით საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტების ინტერესები და ამ ორი ბანაკის გარშემო იყრიან კაპიტალისტური სახელმწიფოები. ინგლისს მხარს უჭერს იტალია და ნეიტრალური სახელმწიფოთა დიდი ნაწილი, საფრანგეთს ბელგია და რამოდენიმედ მცირე ანტანტა. ამ ორი იმპერიალისტური პოლიტიკით ხასიათდება დღეს კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთობის საკითხი უმთავრესად საბჭოთა რუსეთთან. ამ დამოკიდებულებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გერმანიას, რომელმაც რუსეთთან სრულიად ახალი სახის ხელშეკრულება დადვა რაპალოში და ამით ნიადაგი ჩაუყარა იმ დიდ კავშირს, რომელზედაც უნდა აშენდეს რუსეთ-გერმანიის ხალხთა ერთობა.

კონფერენციის მთელმა მუშაობამ ნათელყო ყველასათვის, რომ ევროპა ვერ შესძლებდა მთლიანად გამოსულიყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. დღეს, როცა კონფერენციის მუშაობის მიწურულებში ვიმყოფებით, ჩვენთვის სავსებით ცხადი ხდება ის აზრი, რომ შეიძლება კონფერენციამ ვერ მიაღწიოს თავის მიზანს და ვერ მონახოს შეთანხმებული ხაზი. მაგრამ ამით სრულებით არ ისპობა გენუას კონფერენციის მნიშვნელობა და ის დიდი გამარჯვება, რომელსაც მიაღწია აქ საბჭოთა დელეგაციამ, სრულიად სამართლიანად ამბობს ამხ. რუდზუტაკი, რომ რითაც არ უნდა დათავდეს კონფერენცია, რუსეთს შეუძლია თავის თავი გამარჯვებულად ჩასთვალოს. და ეს გამარჯვება კიდევ განსაკუთრებით იმაშიც უნდა გამოიხატოს, რომ გერმანიის ნაბიჯს აუცილებლად გაჰყვება სხვა ნეიტრალური სახელმწიფონი და სეპარატიულად შევლენ რუსეთთან ურთიერთობაში. ინგლისის წარმომადგენლებმა არა ერთხელ განაცხადეს, რომ, თუ საფრანგეთი ხელს არ აიღებს თავის შეურიგებელ პოლიტიკაზე, ინგლისი იძულებული იქნება დამოუკიდებელ გზას დაადგეს და კონფერენციის გარეშე შექმნას საზავო ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან. ასეთსავე გზას ადგია იტალია, ჩეხო-სლოვაკიამ კი მოლაპარაკება ამ ხაზით უკვე დაასრულა.

ეს გარემოებანი ააშკარავებენ იმ ფაქტს, რომ გენუას კონფერენციას უნაყოფოდ არ ჩაუვლია საბჭოთა რუსეთისათვის და მან შესძლო ევროპის წიაღში თავისი სასარგებლო ნიადაგი შეემზადებინა.

ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ საბჭოთა რუსეთი გრძნობს ძალასა და სრულებითაც არ ფიქრობს დათმობის გზის და მიიღოს საფრანგეთის იმპერიალისტების პროგრამა. საბჭოთა რუსეთის უკანასკნელმა ნოტამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ევროპის საზოგადოებრივ წრეებში. გერმანიის ბურჟუაზიული პრესა გაკვირვებით და უკმაყოფილებით აღნიშნავს ნოტის გადაჭრით აგრესიულს ხასიათს. გაზ. „დოიჩე ტაგენცაიტუნგი"-ს სიტყვით, რუსეთი, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებს თავისუფლებათა შელახვას და კატეგორიულად მოითხოვს ყოველ საკითხში სამაგიეროს მიღებას და ნამდვილ თანასწორობას. რუსეთის დელეგაციის უკანასკნელი ნოტით აღელვებული არის თვით ლოიდ ჯორჯიც, რომელმაც უწოდა მას „პროვოკატორული დოკუმენტი", მაგრამ ის ვერ შეძლებს რადიკალური ნაბიჯი გადასდგას და წინადადება შეიტანა დაიარსებინათ ექსპერტთა კომისია, რომელიც დეტალურად განიხილავს ვალებისა და კერძო საკუთრებისა და კრედიტის საკითხებს. საფრანგეთის წარმომადგენელი ბარტუ ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის მოსაზრებებს და ამბობს, რომ ნოტა შეუძლებლად ჰქმნის ბოლშევიკებთან მოლაპარაკების გაგრძელებას.

ამ გვარად შეიქმნა ერთგვარი გაუვალი რკალი. არც ერთი მხარე თავის პოზიციიდან არ იცვლის და მტკიცედ სცდილობს დაიცვას თავისი პოლიტიკა. რუსეთის უკანასკნელ საპასუხო ნოტას უნდა გამოერკვია კონფერენციის მუშაობის შემდეგი გზები: შესძლებდა იგი მუშაობის გაგრძელებას, თუ უნდა ჩაშლილიყო. რუსეთის ნოტამ რადიკალურად დასვა საკითხი და შეუძლებლად სცნო რაიმე საკითხში დათმობის გზას დასდგომოდა. ამით კონფერენციის ბედიც გადაწყდა და იგი უნდა ჩაშლილიყო, მაგრამ ევროპის დიპლომატია ამ რადიკალურ გზაზე დადგომას ვერ ბედავს, მას ეშინია ხელცარიელი შინ მოსვლა და ევროპის იმ მდგომარეობაში დატოვება, რომელშიაც ის იმყოფება საერთაშორისო ომის გათავების შემდეგ. და აი მათ ახალ საშუალებას მიჰმართეს: ბერლინიდან მოსული ცნობით, ლოიდ-ჯორჯისა და ბარტუს წინადადებით კონფერენციის მომწვევმა სახელმწიფოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კონფერენცია გადადებულიყო სექტემბრამდი. აგრეთვე საინტერესოა გენუიდან მოსული რადიო, რომელიც გვაცნობებს, რომ მაისის 14 მდე—ალბერტის ვილაში გამართულ სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა წინადადება ორი კომისიის შედგენის შესახებ; ერთი ურუსეთოდ და მეორე რუსეთის წარმომადგენლის მიღებით. ორივე ეს კომისია შეიკრიბება ჰააგაში ივლისისათვის რუსეთის საკითხის შესწავლის განახლების მიზნით, ე. ი. ვალების პრობლემას, კერძო საკუთრებისა და კრედიტის გამოსარკვევად. ამგვარად მოკავშირეებმა მონახეს ახალი საშუალება გენუას კონფერენციის გადასარჩენად; ეს საშუალება კონფერენციის გადადებაში და ახალი კომისიების შექმნაში გამოიხატება; გენუას დელეგატებმა კი უნდა მოიარონ და იქნება შესძლონ გაუმყოფურ მდგომარეობიდან გამოსვლა. ევროპა კონფერენციის მოწვევით ირთობს თავს, მაგრამ პრაქტიკულ შედეგებს ვერსად ვერ აღწევს და კვლავ ეკონომიურად განადგურებულ ქვეყნის წინაშე სდგას.

გენუიდან მაისის 16 ს მოსული რადიო გადმოგვცემს იმ წინასწარ შეთანხმებას, რომელზედაც ხელი უნდა მოაწერონ გენუას დელეგატებმა: 1) უარყოფილია სეპარატიული ხელშეკრულების დადება; 2) თავის შეკავება თავდასხმაზე შეთანხმებაზე ხელმომწერ სახელმწიფოსაგან და 3) პროპაგანდაზე ხელის აღება. ბერლინის ცნობები გადმოგვცემენ, რომ კონფერენციის წრეებში ფიქრობენ, რომ საბჭოთა დელეგაცია, ისე როგორც მოკავშირეთა და ნეიტრალური სახელმწიფოები შეუერთდებიან წინასწარ შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფს საზღვრების ხელშეუხებლობას.

ამ გვარად თუ დღევანდელ რადიოს დავუჯერებთ, გენუას კონფერენცია დროებით გადარჩა სიკვდილს, მაგრამ არ განკურნებულა იმ სენისაგან, რომლითაც არის დაავადმყოფებული ევროპის ბურჟუაზიული დიპლომატია.

## ამხ. იოფე გენუის კონფერენციის შესახებ

მოსკოვი 15 მაისი. (რადიო) ჟურნალისტებთან საუბრის დროს გენუაში მყოფმა რუსეთის დელეგაციის წევრმა იოფემ განაცხადა: „რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებამ დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია გერმანიის ხალხის ყველა წრეებში, ერთად ერთი ჯგუფი რომელიც ილაშქრებს ხელშეკრულების წინააღმდეგ, ეს არის შეიდემანელები, რომელთაც მეთაურობს „ფორვერტსი", ეს გასაგებია, რადგანაც გერმანიის მენშევიკებს, რომლებიც ძლიერ ახლოანი არიან, ყველაზედ უფრო ეშინიათ გააღიზიანონ საფრანგეთის მთავრობა. გერმანიის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა მთელი რიგი გვარწმუნებდნენ ჩვენ, რომ ისინი სრულიად კმაყოფილი არიან ხელშეკრულებით და მოუთმენლად ელიან მის საქმეროდ ცხოვრებაში გატარებას, ამყარებენ მასზე დიდ იმედებს, იმ აზრით, რომ იგი განამტკიცებს საბოლოვოდ ეკონომიურ კავშირს გერმანიასა და რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შორის. წინააღმდეგ ჩვენი მტრების ყოველგვარი მოლოდინისა, ჩემი აქეთ წამოსვლის მომენტში ანტანტას ეტყობოდა სრული დაშლა. რამდენადაც დაეცა საფრანგეთის პრესტიჟი, იმდენად გაიზარდა რუსეთის ს. ფ. ს. რ. პრესტიჟი, ბურჟუაზიულ ევროპაში ეკონომიური პირობები ისეთი მძიმეა, რომ ევროპის მეურნეობის აღდგენა ყოვლად შეუძლებელია ურუსეთოდ. კონფერენციამ დაგვანახა, რომ კონფლიქტი საფრანგეთსა და ინგლისის შორის კიდევ უფრო გამწვავდა გენუაში. მათ შუა არსებული უფსკრული არაფერით არ შეიძლება ამოივსოს. გენუამ დაგვანახვა ევროპის ხალხის ვერსალის ხელშეკრულებით უკმაყოფილება.

პოლონეთი ჩვენ წინააღმდეგ სამტრო პოლიტიკას არ აწარმოებდა, მაგრამ მოკავშირეთა ყველა მტრულ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის რომ პოლონეთი შეუერთდა მოკავშირეების ნოტას რაპალოს ხელშეკრულების შესახებ, რომელიც არღვევს რიგის შეთანხმებას. იტალიის საზოგადოების ყველა წრეებში რუსეთთან შეთანხმების იდეამ დიდი პოპულარობა მოიპოვა. გენუაში ჩვენ თავს კარგად ვგრძნობდით. ჩვენ გვიწევდნენ ძლიერ გულწრფელ სტუმართ მოყვარეობას, როდესაც კინემატოგრაფი ეკრანზე გამოჩნდა რუსეთის დელეგაცია მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და მქუხარე ტაშით მიეგება. როდესაც გამოჩნდა საფრანგეთის დელეგაცია ეკრანზე ყველამ უსტვინა და მათ დასტოვეს დარბაზი. [illegible] ჩვენ რესტორანის გამოსავალთან გვიცდიდა აუარებელი ხალხი, იტალიელები გაძლიერებული ენთუზიაზმით გვესალმებოდნენ ჩვენ და იძახდნენ: „გაუმარჯოს რუსეთს", „გაუმარჯოს ლენინს".

## გენუას კონფერენციის გარშემო

### რუსეთის პრობლემა

**მოქმედების გეგმა.**

**გენუა**, 16 მაისი, წარმომადგენლები იმ სახელმწიფოებისა, რომლებმაც მოიწვიეს კონფერენცია და აგრეთვე პოლონეთის, რუმინიის, შვეციის და შვეიცარიის წარმომადგენლები 15 მარტს დილით ხელახლა შეიკრიბნენ ფაქტას თავმჯდომარეობით მოქმედების გეგმის გამოსამუშავებლად, რუსეთის საკითხში რუსეთის დელეგაციის პასუხთან დაკავშირებით 2 მაისის მემორანდუმზე.

**ჩიჩერინის პროტესტი.**

**გენუა**, 16 მაისი, ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლების სხდომაზე რუსეთის საკითხის შესახებ გამოქვეყნებულ იქნა ჩიჩერინის წერილი, რომელიც მიიღო 15 მაისს ღამით კონფერენციის თავმჯდომარემ. თავის მხრივ შანცერმა გადასცა კრებას საუბარი, რომელიც მოხდა შანცერის, კონფერენციის თავმჯდომარის და ჩიჩერინის შორის 15 მაისს დილით. იმათ მიუთითეს ჩიჩერინს, რომ მის მიერ წამოყენებული დებულებები და პროტესტები უსაფუძვლოა.

**გენუა**, 16 მაისი. იტალიის დელეგაციამ გადასცა პრესას მთელი რიგი განცხადებებისა, საიდანაც სჩანს, რომ ჩიჩერინის წერილთან დაკავშირებული ინციდენტი შეიძლება ჩაითვალოს ამოწურულად იმ განმარტებების შემდეგ, რომელიც მოხდა კომისიის სხდომაზე და იმ ლაპარაკის შემდეგ, რომელსაც ჰქონდა ადგილი ფაქტას, შანცერის, ლლოიდ ჯორჯის და ჩიჩერინის შორის. ყველა ამ განმარტებების შემდეგ, ჩიჩერინის პროტესტი შეიძლება ჩაითვალოს ისე, თითქოს ის სრულიადაც არ ყოფილიყო, რადგანაც რუსები შერეულ კომისიაში ისარგებლებენ თანასწორი უფლებებით ყველა სხვა სახელმწიფოებთან ერთად.

**მდგომარეობიდან გამოსვლა.**

**გენუა**, 16 მაისი. ნეიტრალურ სახელმწიფოების და აგრეთვე იმ ქვეყნების დელეგატების კრებაზე, რომლებმაც მოიწვია კონფერენცია, გამოქვეყნებულ იქნა წინადადებები, რომლებშიაც შეთანხმდნენ კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოების წარმომადგენლები 14 მაისის სხდომაზე დე-ალბერტის სასახლეში. ეს წინადადებები შეიცავენ ორი კომისიის დაარსებას, რომლებიდანაც ერთი შესდგება რუსეთის დელეგატების გარეშე და მეორე რუსი დელეგატების მონაწილეობით. ორივე კომისია უნდა შეიკრიბოს ჰააგაში 26 ივნისს რუსეთის საკითხის შესწავლის განახლების მიზნით ე. ი. სესხების, კერძო საკუთრების და ვალების საკითხების შესასწავლად.

**გენუის ზოგადი შედეგები**

**გენუა.** 16 მაისი. იმ სახელმწიფოთა დელეგატებმა, რომელნიც მონაწილეობენ გენუას კონფერენციაში, უნდა მოაწერონ ხელი გენუაში შეთანხმებას, რომლის ძირითადი პუნქტები მდგომარეობს შემდეგში: 1) არ უნდა იქნეს დადებული სეპარატიული შეთანხმებანი, 2) თავი შეიკავონ ყოველგვარი თავდასხმისაგან იმ სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავდასხმისაგან, რომლებმაც ხელი მოაწერეს სახელმწიფოთა შეთანხმებას. 3) თავი შეიკავონ პროპაგანდისაგან. ეს პუნქტები მიღებულია შანცერის ზოგადი განმარტების შემდეგ. ბელგიის და საფრანგეთის დელეგაციებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმებას მიიღებს რუსეთის დელეგაცია, კომისიები თავის მხრივ ურჩევენ თავის მთავრობებს შეუერთდნენ აგრეთვე ამ შეთანხმებას.

**რომი.** 16 მაისი. 16 მაისს პირველი კომისიის ქვეკომისიამ წინადადება უნდა მისცეს რუსეთის დელეგაციას შეთანხმების პროექტის დაუყოვნებლივ მიღების შესახებ. სხდომაზე მოწვეულნი არიან რუსეთის დელეგატები. ბარტუ და კასპარი, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს 2 მაისის მემორანდუმს, სხდომაზე არ არიან მოწვეულნი, ორივე დელეგაციებმა განაცხადეს, რომ საფრანგეთი და ინგლისი დადებითად უყურებენ აღნიშნულ შეთანხმებას დროებითი ზავის შესახებ და მზად არიან მის სავსებით მიღებას. იმ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმებას მიიღებს რუსეთის დელეგაცია, საფრანგეთის და ბელგიის დელეგაციების მეთაურები მიმართავენ თავის მთავრობებს ტელეგრაფით თხოვნით, რომ მიეცეს მათ რწმუნება შეთანხმებაზე ხელის მოწერის შესახებ და დარწმუნებულნიც არიან იმაში, რომ სათანადო ნებართვა მიეცემათ მათ.

**გენუა.** 16 მაისი. იტალიის რადიო.

...ასაცდელი გამოცდები მოხსნილია და ამის მაგიერ გაიცემა მოწმობები, რომელიც აღინიშნება სამი ნიშნებით: „ფრიად კმაყოფილად", „კმაყოფილად" და „სუსტად". აგრეთვე პედაგოგიურ საბჭოს უფლება ეძლევა მისცეს მოწმობები იმ მოწაფეებს, რომელთაც „სუსტი" ნიშნები აქვთ ერთსა ან ორ საგანში. ვისაც სურს გამოცდები ჩააბაროს განსაზღვრული კურსის ცოდნაში (აბიტურიენტები) გამოცდები გაგრძელდება 1 ივნისამდე. ხელახალი და მისაღები გამოცდები იწყება 5 სექტემბერს. სწავლა კი 15 სექტემბრიდან დაიწყება.

**პროვინციის ცხოვრება.**

— **ტრიალეთის თემში.** ძალიან გახშირებული არის ქურდობა, ადგილობრივი აღმასკომი ყოველ გვარ ზომებს ღებულობს მათ წინააღმდეგ, მრავალი დაკარგული საქონელი კიდევაც აღმოაჩინა და ქურდებიც შეპყრობილი არის.

— **მომხდარი ამბავი.** ტრიალეთის თემის მცხოვრებ ხ—ძეს, ამავე თემის მცხოვრებმა ივანე ალფაიძემ, ორჯერ მოსტაცა ქალიშვილი, (1918—1919 წ.წ.) რაკი ხ—ძის ქალი ყოველთვის უარზედ იყო, რომ წაყოლოდა ხსენებულ პირს ამიტომ მოტაცების შემდეგ დედ-მამას უბრუნდებოდა და მათთან ცხოვრობდა. 1922 წლის აღდგომის მესამე დღეს ხ—ძის ქალი, ორი მეზობელი ყმაწვილის თან ხლებით მიდიოდა. ს. შუამთას ბაზარში, ტყის პირად დახვდა ივანე ალფაიძე და სამ ალაგას რევოლვერის ტყვიით მძიმეთ დასჭრა. ივანე ალფაიძე გაიქცა, არავინ არ იცის სად არის წასული.

# სამხატვრო ქრონიკა

— **სახალხო მომღერალ მგალობელთა გუნდი.** სახალხო მომღერალ-მგალობელთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს მიხეილ კავსაძე ამ მოკლე ხანში გამართავს სახალხო კონცერტებს ტფილისის თეატრებში; ამის შემდეგ გუნდს განზრახვა აქვს მოიაროს დასავლეთი საქართველო და კახეთი.

— **სიმღერის კურსები.** გახსნილია სახალხო სიმღერა გალობის კურსები მიხეილ კავსაძისა, მუშათა სასახლე (პროფ. კავშ.) მე 5-თე სართული ოთ. ხუთ. და პარასკ. საღ. 6 ნახ. 8 ს.

— **მსახიობ ქალის როსტომაშვილის საღამო.** ხუთშაბათს, 18 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება მსახიობ ქალის როსტომაშვილის საღამო. წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის პიესა სამეგრელოს ცხოვრებიდან „ეგეტკორი". მონაწილეობენ: როსტომაშვილი, შალვა დადიანი, ვ. გამყრელიძე, ელლო ანდრონიკაშვილი, აკაკი ვასაძე და სხ.

— **დონაურის საღამო.** რუსთველის თეატრში, 23 მაისს გაიმართება მსახიობ ქალის დონაურის საღამო. წარმოდგენილი იქნება „პოლა".

# პარტიაში

შაბათს, მაისის 20-ს, საღამოს 6 საათზედ „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

# სომხური პრესა

გაზ. „ნორ კიანქ"-ის (ახალი ცხოვრება, ორგანო სომეხთა ფედერალისტების პარტიისა) თანამშრომელი, მე-9 ნომერში პარტიის მიზნის და მნიშვნელობის შესახებ სწერს შემდეგს:

„ძველმა გადაჯგუფებამ პარტიებისა დაჰკარგა თავისი აზრი და შინაარსი და ამიტომ თავიანთი არსებობის უფლებაც. პარტიული დაბალი წრეები (Низкие слои) დაიშალა და გაითქვიფა ერთმანეთში, მხოლოდ ზედა წრეები განაგრძობენ თავიანთ ეროვნულ, სწორეთ ვთქვათ, თავიანთ შინაურ საქმეს და მოგვაგონებენ ულაშქროდ დარჩენილ სარდლებს, ასეთს პირობებში ცხოვრება გვიბრძანებს მოვახდინოთ ახალი გადაჯგუფება, საზოგადო ძალების ახალი რეორგანიზაცია.

ასეთი რეორგანიზაცია ახალი ძალებისა დაისახა მიზნად სომეხთა ფედერალისტების პარტიამ.

მისი ძირითადი ხაზია ეროვნულ ჰარმონიის მოთხოვნილება და მმართველი ერთი ცენტრის შექმნა.

საბჭოთა ფედერაციის ერთ სრულუფლებიანი წევრი უნდა იყოს სომხეთი—აი ჩვენი ფორმულა. წმინდა შეფერებული ეროვნული მოღვაწეობა, კავკასიის ხალხების დაკავშირება, მათი ჰარმონიულად და მოხერხებულად მმართველ ცენტრის მოთხოვნილებებთან შეთანხმება—აი ჩვენი მიზანი ეროვნულიდან ინტერნაციონალურისაკენ, ახლოდან შორისკენ, მცირესგან—დიდისკენ, ადვილიდან—ძნელისკენ.

სოციალიზმით ხალხების მსოფლიო ფედერაციისკენ; პირველ რიგში კავკასიის და რუსეთის თავიანთ ნებით შეკავშირება და ერთგულ მეგობრობის განმტკიცება.

აი ჩვენი სომეხი ფედერალისტების მმართველი პრინციპები და დევიზები.

ჩვენთვის ეჭვ გარეშეა, რომ ჩვენი მშობლიური გლეხობა და ქალაქების მშრომელთა კლასი, სომხის ერის გონებრივად და ეკონომიურად გაძლიერების მოსურნე ყველა სომეხი მუშაკი, უფრო ახლო გაიცნობს რა ამ პარტიის პროგრამას, მიეკედლება მას, რადგან მასში ნახავენ თავიანთ უკეთეს მისწრაფებათა და ოცნებათა გამოხატვას. განცალკევებული ოცნებობა უშედეგოა. თანამოაზრეთა შეერთებით კი დიდ ძალას მიიღებს ოცნების განხორციელება.

# მოწერილი ამბები

**ახალ სენაკი.** ყველამ უწყის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალ გაზეთების გავრცელებას ფართო მასაში. სამეგრელოში, ცხოვრების გაძვირება ხელს არ უწყობს ამ კულტურულ მიზნის განხორციელებას: გაზეთი ძვირია შეძლებისთვის და ხელმიუწვდომელი ღარიბ მშრომელთათვის.

გაზ. „ტრიბუნ." სხვა გაზეთებზე გაცილებით იაფი ღირს. ამით რედაქცია დიდ სამსახურს უწევს ხელ მოკლე მკითხველს. მაგრამ სპეკულიაციის ბრჭყალებში არ არის უმოქმედოდ, გაზეთიც შეიქმნა ჩარჩების მსხვერპლი. მე ვამბობ მდგომარეობის შესახებ პროვინციებში. მაგ. აქ ტფილისში „ტრიბუნა" ხუთ თათახად იყიდება, ნომინალ ფასად, პროვინციაში აგენტები მას 15 თათახად ყიდიან, სხვა გაზეთების მსგავსად. ის სადგურში მოიღებენ პირველად შევ მინე ახალ სენაკში. როდესაც შევეკითხე გაზეთების მყიდველს, რატომ არ ყიდით გაზეთს 5 თათახად, მოგება მაინც გექნებათ, უფრო დაკლებულ ფასად ღირებენ ხომ გაზეთს მეთქი, მიპასუხა: გაზეთის ტრესტიდან ამ ფასად გვეძლევაო და რა ვქნათო. საინტერესოა ვიცოდეთ: მართლა ტრესტია დამნაშავე თუ პროვინციის აგენტები? მე დარწმუნებული ვარ, რომ ტრესტი აქ არაფერ შუაშია... საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

პროლეტარ ძე.

—

**ქ. ზუგდიდი.** 1 მაისის დღესასწაული სამეგრელოს დედა ქალაქმა ზუგდიდმა ჩაატარა შესაფერისი ზეიმით. ზეიმის მომწყობ კომისიის მიერ იქნა მოწყობილი დღესასწაული აგრეთვე მაზრის ყველა 7 სასოფლო ცენტრებში, და ამით 1 მაისის იდეა დაუახლოვდა მშრომელთა ფართე მასას. კარგმა ამინდმა და ქალაქის საზეიმო დეკორატიულ მორთულობამ მოიზიდა დღესასწაულზე აუარებელი ხალხი, როგორც ქალაქიდან, აგრეთვე სოფლებიდგანაც. დილის 10 საათიდან ყველა პარტიული და სხვა ორგანიზაციებმა მწყობრად თავიანთი დროშებით იწყეს დენა ბაღშია მოედანისაკენ, (ყოფილი პრინცესა მიურატის ეზო) საიდაც კომისიის გადაწყვეტილებით უნდა გაეხსნათ საზეიმო პროცესია. დილის სრულ 11 საათზე, ამ მოედანზე გაიმართა ლაშქრის და ჯარის ნაწილების მიერ ფიცის მიღება, რის შემდეგ ამხ. ვ. ჩხეიძემ კომპარტიის სახელით საზეიმო პროცესია გამოაცხადა გახსნილად. დღესასწაულის მნიშვნელობაზე ილაპარაკეს: პირველად სამაზრო აღმასკომის სახელით ამხ. გრ. როგავამ და მეორედ კომპარტიის სახელით ვ. ჩხეიძემ. ამის შემდეგ პროცესია კომისიის წინადადებით შუა ქალაქით დაიძრა საბჭოთა ჯარების შემოსვლის დროს დახოცილ წითელ არმიელთა სასაფლაოსაკენ, სადაც ამხ. გრ. როგავას მიერ იქნა წარმოთქმული შესაფერისი სიტყვა, რის შემდეგ პროცესია მწყობრად დაბრუნდა იმ ადგილას, (აკაკი წერეთლის სახელობაზე სამკითხველოს წინ) სადაც უნდა გახსნილიყო მთავარი მიტინგი, ნაშუადღევის 1 საათზე ამხ. ვ. ჩხეიძემ გახსნა მიტინგი და მოუწოდა ყველა პოლიტიკურ პარტიებს როგორც ლეგალურად მომქმედთ აგრეთვე არალეგალურადაც მიეღოთ მონაწილეობა ზეიმში და ჩაწერილიყვნენ ორატორთა სიაში. მაგრამ მემარჯვენე პარტიებმა როგორც მოსალოდნელი იყო სრულიად გულგრილად შეხვდნენ ამ დიად მუშურ დღესასწაულს და არც ერთ მათგანს არ მოუსურვებია მიელოცა, მშრომელთათვის 1 მაისი. ამ მიტინგზე პირველად ილაპარაკა კომპარტიის წარმომადგენელმა ამხ. ბ. ბერიამ. მეორე სიტყვა წარმოსთქვა საქ. მემარც. სოც. ფედ. სარ. პარ. სახელით ამხ. მ. კაკულიამ, რომელიც საკმაო ვრცლად შეეხო 1 მაისის ისტორიას და მის მნიშვნელობას საერთოდ და განსაკუთრებით ჩვენში. მისი სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ხალხზე. შემდეგ ილაპარაკა ახალ გაზ. კომკავშირის სახელით კობახიძემ ამით მიტინგი დაიხურა. მიტინგის შემდეგ გაიმართა სხვა და სხვა გასართობები: მარულა, ველოსიპედისტების სპორტი, ბურთაობა და სხვა. საღამოს 7 საათზე ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა. საღამოს 10 საათზე ადგილობრივ საკრებულო დარბაზში, რომელიც პირველად იყო განათლებული ელექტრონით და დეკორატიულად მორთული გაიხსნა საღამო 1 მაისის აღსანიშნავად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ა. რაფავამ, რის შემდეგ დადგმულ იქნა ახალი 3 მოქ. დრამა „ნიღაბის ქვეშ."

შან.—შენ.

# ტრანსპორტელთა მოჭირნახულენი.

ს. ნავთლუღი (კახ.) სადგურის სამსახურის მე-17-ე უბნის მუშა მოსამსახურენი დიდ დამცირებას განიცდიან ზოგიერთი მათი ინტერესებით მოვაჭრე თავხედი ვაჭრებისგან, მუშებს ხმა ვერ ამოუღიათ მათი გამთიშველების წინააღმდეგ, რადგან ზღაპრული შიშით არიან შეპყრობილი. მაგალითად, მათ ცხოვრებაში აქვს ადგილი ერთ არა სასიამოვნო ალმაშფოთებელ მოვლენას. აქ არსებობს რკ. გზელთათვის კოოპერატიული სასადილო, რომელიც არაფრით არ განირჩევა უბრალო ჩარჩის სავაჭროსაგან, მას არავითარი კოოპერაციული მიზნები არ აქვს დასახული. ის თამაშობს ჩარჩის ჯიბეების გამსქელებლის როლს. მის დღევანდელ მოჭირნახულეს ვ. …ტონ №ს სრულიად არ აინტერესებს სადილი სანოვაგე მიწოდების მუშებს, მის იდეალს შეადგენს როგორმე ფული მოიგდოს და როგორც უნ… მოიხმაროს. … გამწევი არავინ … იმას, რაც მოეპურვება, ალმაშფოთებელი ეს არი, რომ სადილს ამზადებს სრულიად უვარგის სანოვაგისგან, რომელსაც ზიანის მეტი არაფერი შეუძლია მოუტანოს ადამიანს ჯანმრთელობას. ერთი კოვზი წყალი და ერთი ნაჭერი უვარგისი ხორცი,—აი ის კერძი, რომელსაც ზემოხსენებული სასადილოს მოურავი დიდი დაბადლებით აწვდის მუშას სახრდათ, შეიძლება უვარგისმა კერძმა, მათ მიერ „შენახვებმა" … თუ დროზე არ … ზომები. ბ… სასადილოს მოურავს მოუყვანია ვინმე „ველაპარლი კინტო", რომელიც უშვერი ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება მუშებს. ამ რამოდენიმე დღის წინად შედიან უბნის კონტორის თანამშრომლები, თხოულობენ სადილს; ბატონი „ველაბარლი მზარეული" აწვდის შემდეგი კომპლიმენტით: „იეთ ამას ძაღლებო, ადამიანი როგორ ჭამს?", მართლაც ნახულობენ და სადილი სრულიად უვარგისი აღმოჩნდა, იხდიან ფულს, სტოვებენ სადილს და გამოდიან; … აყენებენ ოქმს, რომელიც რჩება უყურადღებოთ. ეს დამცირებაა მუშების, ნუ თუ მათ გონიათ, რომ ამით ასრულებენ კოოპერაციულ მიზნებს, ნუ თუ ჰგონიათ, რომ ამით სარგებლობა მოაქვთ მუშებისთვის? მათ რკ. გზა აძლევს ზოგიერთ მასალას, მაგ. მაზუთს და სხვა წვრილმან ხარჯებს.

სასადილოს მოგება საქ მიდის, ეს ღმერთმა უწყის! საჭიროა სასწრაფოთ იქნეს მიღებული ზომები სასადილოს გამგეობის გამოსარკვევად. ან სრულიად დაიხუროს, ვინაიდან ის ემსახურება … მიმავალ ჩარჩებს და არა მუშებს, ჩარჩებისთვის ყველაფერი, მუშებისთვის არაფერი, აი ბატონი გამგის მიზანი. ან და ჩააბარონ ისეთ ადამიანს, რომელიც შესაფერ დონეზე დააყენებს კოოპერატივს და სარგებლობას მოუტანს მუშებს. … ერთხელ … მაგარი სამელით … თუ არ ვცდები … იყო ამის გამო, მაგრამ ის თავისას განაგრძობს.

ადგილობრივი კომიტეტი ამ მოვლენას არავითარ ყურადღებას არ აქცევს საჭიროა ამ მოვლენას მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და დაუყოვნებლივ სასადილოს ჩამოაშორონ ისეთი ელემენტები, რომელთაც ზარალისა და დაცინვის მეტი არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ და ჩააბარდეს თვით მუშებს. მე ვგონებ, ეს უფრო ახლო სდგას სინამდვილესთან და შესაფერ ნაყოფს გამოიღებს.

ჭაგო-შანგა.

# აპოლონ კიკვაძის ხსოვნას

დაბა ჩოხატაურში, გიორგი ცინცაძის ხახლში, გასული წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, საყვარელ მშობლებისა და მეგობრების მოულოდ მოკლებული „ჟვავილით" გარდაიცვალა ჩოხატაურის … ტეხნიკუმის მეორე კლასის მოწაფე, 16—17 წლის ფრიად ნიჭიერი ყმაწვილი აპოლონ კიკვაძე.

ის იყო გურიის ერთ შესანიშნავ კუთხეში—სურებში დაბადებული და აღზრდილი.

მან თავის ხან-მოკლე სიცოცხლეში დიდი სიყვარული დაიმსახურა სურების საზოგადოების ხალხისა და ჩოხატაურში არსებულ სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდების გულში...

1918 წლიდან იგი იყო თავდადებული მუშაკი ჩოხატაურში არსებულ ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა სარ. პარტიისა; მაგრამ როცა ეს პარტია ორ ნაწილად გაიყო, კიკვაძეს უნდოდა გამოერკვია, თუ რომელი მათგანი იდგა სწორსა და ნათელ გზაზე, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა აღარ დააცალა მას, მეგობრებისა და ყველა შეგნებული ადამიანის გულდასაწყვეტად ჩაუქრო გაზაფხულივით ამღერებული სიცოცხლე...

ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ კიკვაძეც როგორც ნიჭიერი ყმაწვილი, არ ჩამორჩებოდა იმ ახალგაზრდებს, რომელთა გულში ღვივის რევოლიუციონური ცეცხლი და რომლებიც სოციალისტური გზით მიდიან საქართველოს განთავისუფლებისაკენ!..

განსვენებული სწერდა ლექსებს, რომლებშიაც ღვივის მშობლიური ენისადმი და რომლებშიაც ბრწყინავს სამშობლოსა და მშრომელი ხალხის სიყვარული.

მის ხელთ ნაწერ ლექსების მცირე კრებულს დართული აქვს ჩვენი ნიჭიერი მწერლის ია ეკალაძის წერილი სათაურით: „ჩემი აზრი". ია დაარიგებს ამ ლექსებს ახალგაზრდა კიკვაძეს, რომ ჯერ გაეცნოს უცხოელთა ლიტერატურას, ნაკლები სწეროს და ბევრი იკითხოს. წერილის დასასრულში ია გამოსახავს იმედს, რომ კიკვაძეს სამწერლო მალევე გაუმაგრდება და კარგ კვალსაც დასტოვებს ჩვენს ლიტერატურაში.

---

...დია. კარგ არაკს გეტყვით ამაღამ იგი.

— ჰაი, ჰაი რომ გვეტყვის!

— გეტყვით, გიამბობთ! აგერ მორჩებით ყველა საქმეს; შემოუსხდეთ მხიარულ ბუხარს და...

იქვე იდგა დერეფანში იგი ნინიკა, დიდი მეზღაპრე. თახთახებდა საცოდავად წელში მოხრილი. ჩოხის კალთაში გაეხვივნა მცივანს ხელები. შიშით და ძრწოლით გაჰყურებდა მაღლა აგებულ ზვინებს თოვლისას. იჯახიშვილის ახლო მცნობი შორეული მის ნათესავთ. მკვრივი იყო, მაგრამ ჯდომა ერთ ალაგას არ უხაროდა და... დადიოდა უცოლშვილო, მიმოვიდოდა, იცვლიდა ადგილს... სად არ ყოფილა, ღმერთო ჩემო, რა არ უნახავს! ეშხით იცოდა ნახულის თქმა, გაგონილისა საქმე .. პური იყო მისთვის ქმედობა!

— კაცო აბრამ, წყალი ხომ მოჰყვანილია? იქნებ დაყინოს ან ნამქერმა, ხევი ავსოს: ატყდა ქარ-ბუქი, ახლოვდება, ისმის გუგუნი.

— როგორი დაძრულა მთის კალთებზედ მძიმე ბურუსი! ქანაობს, ღელავს

— მთის მწვერვალებზედ ჰფლეთავს ქარი დიდრონ ღრუბლებს, მთა-მთა მისდევენის იმათ ნაფლეთებს.

— ძირს ჩამოეშო ქარიშხალი, ახლო მოისმის შრიალი გრიალი.

ახლოვდებოდა გუგუნი დიდი. გადმოხეთქილ მდინარის სახით თუ მოსდგომოდა ქარ-ბუქი სოფელს. გაჩნდა ჰაერში მიმომფრენი ფიფქი თოვლისა, ნამქერის მტვერი.

— არ დაგავიწყდეთ ალაგეში. ბუნაგში ბურდო წააუმატეთ, გამოუცვალეთ. იქვე აჰქმეთ. შეიძლება ამ საშინელ ღამეს ლაფტანის ეზოს მგელი, ტურა, კაცი-ბოროტი.

— გომის ბანი, სანათური კარგად დახურეთ?

— გავაწყე ფიქრებს, დავაყარე სასუქა ძლომად, ქარმა, სიცივემ არ ჩააღწიოს.

დააწყნარეს ყველაფერი. შეეფარა მეკომური თავის თბილ ბინას.

ფართო დერეფანი. მარჯვნივ ოთახი, მარცხნივ სათონე, ბუნაგები თუ საკუჭნაო; ზედ შუაზედ გომურის კარი. თათონ გომი—დიდი შენობა. მუხის ბოძებზედ მეხისვე თავხე. კედლებიდან თავხისაკენ სხვილი ძელები მუხის ფიცრით გადახურული. ზევიდან მიწა, ნატკეპნი თიხა. მარჯვნივ და მარცხნივ კედლებ დასწვრივ გრძელი ბაგები სხვილ საქონლისთვის, ქვემოთ … ლასტის კალო წვრილ საქონლისთვის. მარჯვნივ ოდა მხოლოდ ერთ მხრივ გადალასტული, დიდი ბუხარი. ორპირი ტახტიანიდან ვართ საოჯახო საღვომისაკენ. კართან ახლო სალოგინე, ფარდაგებით მოფენილი მაღალი ტახტი. ყოველ დღე სახმარი ლოგინი აქ გამოჰქონდათ ოთახიდან. აქ იგო ლექსოს ეხლა ლოგინი. შინ არ წვებოდა, მას იქ უყურებდა გომის სითბო, საქონელთან მახლობლად ყოფნა და.. ზღაპრები იმ ნინიასი, საკვირველი არაკები თან საშიშარი, თანაც საამო.

— ჰრაქი ხომ კარგად გაამაგრე? არ ჩამოვარდეს,

— ფიქრი არა აქვს!

კარგად იგახშმეს: კაკალა პური, ლორის ლუერთეში, ყანწი არაყი. შეშა დასძინეს მგზნებარე ბუხარს. წარსთქვა აბრამმა თავისი ლოცვა:

„ჯვარი მწყალობს ჯვარცმული,
ვერას მავნებს მაცდური;
მწყალობს წმიდა გიორგი,
ჯვარი პატიოსანი". .

ჩაწვნენ. მოხსნა ნინიკამ ზღაპრების გუდას. დალაგებით ამბობდა სიტყვას, ფრთხილობდა. უჰ, რამდენი სიქვა! გრძლად სათქმელი ზღაპრები ისმის. .

| ხომ არა გძინავთ?

— ჯერ არა გვძინავს; გისმენთ; განაგრძე.

— ... იარეს, იარეს ძმად შეფიცულებმა, თას ადგილას კიდევ მოუხდათ ხმლით გაჰკვლევა საინელთ გზისა და მიადგნენ საკვირველებას: ქალაქი ნახეს გაქვავებული: ზღუდე-კედლები, ციხე ბურჯები, სასახლეები, ხალხი ქუჩებში და მოედნებზედ, შებმული ეტლები თუ ურმები, სანოვაგე და სხვა სავაჭრო ლია დუქნებში, ყველა სულიდგმული თუ უსულო თეთრ მარმარილოდ იყო გადაქცეული. დიდი მდინარეც, ქალაქს რომ სჭრიდა, დამდგარიყო გაქვავებული. ძალიან გაუკვირდათ. სთქვეს, ეს რა ამბავიაო სულდგმული არავინა სჩანს, რომ ეკითხნათ ამ საოცარი ქალაქის ასე გაქვავება. დაფიქრებულები რომ იდგნენ, ვნახოთ გაჩნდა იმათ წინ შავებით მოსილი დედაკაცი. რა მშვენიერი ვაჟკაცები ხართ ერთი მეორეზედ უმჯობესი; იქით კარგ სტუმრებს მასპინძლობაც კარგი შეეფერისთ. წადით პირდაპირ. შუა ქალაქში დიდ სასახლეს ჰნახავთ, იქ ჩამოხტით; მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდინ გიმასპინძლებენ საკადრისად, … ეს რა დედაბერმა და გაქრა. წავიდეთ, წავიდეთო.

— გძინავს, ლექსო? აბრამს კი დაეძინა, როგორა ხვრინავს!

— მე არა მძინავს! მერე?

ის იყო მივიდნენ სასახლესთან, რომ მოესმათ საკვირველი ხმა: ფრთხილად იყავით! მოვა დევი პირყვითელი, ლაშ სისხლიანი, მოუსვამს ფრთას გაქვავებულებს, გააცოცხლებს და გადაჰყლაპავს; ერთს თქვენთაგანს ჩანთქამს და წავა. პირშავი დევი მოფრინდება თვალცეცხლიანი, მოუსვამს ფრთას გაქვავებულთ, გააცოცხლებს და გადაყლაპავს; მეორეს თქვენგანს ჩანთქამს და წავა. გრგვინვით წამოვა რკინის დევი ცეცხლის მფშვინავი, პირის ქარით გააცოცხლებს გაქვავებულებს და გადაჰყლაპავს; ჩანთქამს მესამეს თქვენგანს და წავა. უყურებენ ძმობილები განცვიფრებით, ძე ქრისტიანი არავინა სჩანს. აივანზე ქალი იდგა გაქვავებული; თითქო იმისგან მოისმოდა ეს გაფრთხილება. სახიფათო ადგილს მოვსულვართ, ფრთხილად უნდა ვიყვნეთო, თქვეს ძმობილებმა და უფროსი დადგა დარაჯათ. ერთიც ვნახოთ, წამოვიდა ქშენა-სტვენით დევი ყვითელი...

— გძინავს, ლექსო? ჩაძინებია!

. . . წამოვა... ფრთხ... ყვით... შავი დევი... მოაბნევებს რკინ... ნაკვერჩხლის თვა... რკინ...

— მიშველეთ, დევი! რკინის დევი! შეჰკივლა ლექსომ განწირულის ხმით და.. წამოფრინდნენ შეშინებულნი; გამოცვივდნენ ოთახიდანაც. … ყორანი', ეული მოწყენილი, მაულიყო ერთგულ მომვლელთან; თმას ულოკავდა, როგორც ბოჩოლას.

ვასილ ბარნოვი.

